

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის, აგრარულ და ბუნებრივი რესურსების

საკითხების კომისიის 2016 წლის 31 აგვისტოს სხდომის

ოქმი №17

ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

12.30 სთ.

სხდომის თავმჯდომარე – თამაზ მოძღვრიშვილი - კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ წევრები - დავით ვალიშვილი, თემირ ლელუაშვილი, დავით პაპიაშვილი, გოჩა ლაბაური, დავით ჯალაბაძე.

დღის წესრიგი:

საკითხი 1 - „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.“

კითხი 2 - „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.“

მოისმინეს საკითხი 1: „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.“

მომხ. თ. მოძღვრიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია №7535 31.08.2016წ. წერილი, რომლითაც ითხოვენ, მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანას. ზემოაღნიშნულ განკარგულებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს 1.37 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.37. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 419 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.28.587“.

კომისიამ გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის I პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს საკითხი 2: „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.“

მომხ. თ. მოძღვრიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია №6921 17.08.2016წ. წერილი, რომლითაც ითხოვენ, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ. ზემოაღნიშნულ განკარგულებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტები:

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია №7552 31.08.2016წ. წერილი, რომლითაც ითხოვენ, მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49

ცვლილება, კერძოდ, განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს 1.38 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.38. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 380 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.26.362“.

კომისიამ გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის I პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



თ. მოძვრიშვილი

კომისიის წევრები



დ. ვალიშვილი




დ. პაპიაშვილი



გ. ლაბაური



თ. ლელუაშვილი



დ. ჯალაბაძე